№ 205. ორშაბათი 2 თებერვალი 1915 წ.

წელიწადი მეხუთე.

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 25 კ. სახღვარ-გარედ ორჯერ მეტი.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ., ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

თეში

№ 205. ორშაბათი 2 თებერვალი 1915 წ.

წელიწადი მეხუთე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს
რედაქციის კონტორის ბინა: ოლგას ქ., სახლი დიასამიძისა, № 4

ტელეფონი 6—60.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.

„თემის“ რედაქცია

გულითადის მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველებს, რომ 26 იანვარს დ. საჩხერეში გარდაიცვალა მისი ძვირფასი თანამშრომელი, ,,თემის'' ფურცლების დამამშვენებელი უკვდავი მგოსანი

აკაკი

ღრმად შეწუხებული მეუღლე ნატალია პეტრეს ასული და შვილი ალექსი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლისა და მამის

თავ. აკაკი როსტომის-ძის

წერეთლის

გარდაცვალებას

თავ. როსტომ წერეთლის ასული ანნა და თავ. დადეშქელიანის მეუღლე ანნა ალექსანდრეს ასული ქმრითა და შვილითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასი ძმის და უკანასკნელნი დაუვიწყარი ბიძის

თავ. აკაკი როსტომის-ძის

წერეთლის

გარდაცვალებას.

ქართველ ერს

1915 წელს 26 იანვარს დამდეგს ღამის პირველ საათზე საქართველოს დიდება, ქართველი ხალხის ეროვნული გულთმისანი და მესაიდუმლე—აკაკი წერეთელი გარდაიცვალა. მისი მაღმერთებელი სამშობლო საყოველთაო გლოვის ნისლმა დაჰბურა. დაობლებული ქვეყანა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი კვნესით ეხმაურება თავის წუხილის შეუდარებელი გამომსახველის სიკვდილს, ერის წმინდა ზრახვების გრძნეული მომღერლის დაკარგვას.

მთელი ერი ერთი აზრით გამსჭვალული, ერთ გრძნობად გადაქცეული, თვალცრემლიანი და გულ-ჩათხრობილი შემოკრბება აკაკის ძვირფასი ცხედრის თაყვანისცემად, წმინდა ნეშტს ჩაბარებს ჩაფიქრებულ მთაწმინდის ისტორიულ აკლდამას. ხოლო მისი უკვდავი სულის წინაშე საუკუნო ფიცს დასდებს, რომ არ უღალატებს დიდებულ მგოსნის-მიერ ნაანდერძევ სიმართლის მსახურებას და ეროვნულ იდეალებს.

კომიტეტი.

აკაკი გარდაიცვალა!...

მხოლოდ ერთი სიტყვა მიემატა ამ ყველასათვის ძვირფასს სახელს, და ამ ერთმა სიტყვამ ელვასავით გაურბინა მთელს ქართველობას, და არა თუ ქართველობას, ყველას, ვისაც კი ჩვენთან რამე კავშირი ჰქონია და აქვს. აკაკი უკვე მოხუცებული იყო და არავისათვის ეს ამბავი მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. სამოცდათხუთმეტი წელი ჩვენს ჭაბან-წყვეტაში მყოფ ადამიანისათვის, ხან-მოკლე საწუთროსათვის არც ისე პატარა ბორჯია, მაგრამ მაინც საზარელია ასეთი ამბის გაგონება ყოველი ქართველისათვის, ვისაც კი თავი ქართველად უცვნია და ვინც თავის ქვეყნის გულისთქმას შეკავშირებია...

ვერ წარმოუდგენია ადამიანს ასეთი ბურჯის გამოცლა ეროვნული ტაძრისათვის და მეტადრე ისეთი მთავარი ბურჯისა, როგორიც აკაკი იყო. ნახევარ საუკუნეზედ მეტი დრო ვინც შეალია თავისი ძალ-ღონე მხოლოდ ერთად-ერთ სათაყვანო წმინდათა-წმინდას სამსახურს, მისი მსწრაფლად გაუჩინარება მეტად გულ-დასათუთქი და შემაძრწუნებელია.

მართალია ამ ბოლო დროს ჩვენი ნეტარი მოჭირნახულე საკმაოდ მოღალული იყო, მის მხნე სხეულს უკვე სისუსტის აჩრდილი დაჰყვებოდა, და ოდესღაც გმირს სხეულს ეტყობოდა უკვე ქამთა ვითარების სამწუხარო დაღი—ეს ხომ ყოველი სულდგმული არსის ხვედრია—მაგრამ მკვირცხლ გონება ის, გამჭრიახ მიმართულებას და თავის სამშობლოს წყვდიადის გასანათებლად სიყრმითვე აგებულ კოცონს ჯერ კიდევ თავისი მომხიბლავი ძალა არ დაეკარგა, და ყველა ამის მგრძნობი მისი თაყვანისმცემელი—ჯერ კიდევ ვერ იმეტებდა ამ იშვიათ ადამიანს სხეულით გაუჩინარებისათვის, ,,გარდაცვალებისათვის''.

ხანს, განვლილ დროს აქ კაცი ანგარიშს ვეღარ უწევდა, ძალაუნებურად სცდილობდა კაცი თავის დარწმუნებას, რომ უფრო ნაკლები ხნის იყო საყვარელი აკაკი, რომ უფრო გრძელი უნდა იყოს ადამიანის გამძლეობის ბორჯი და ყოველგვარ მოფიქრებას სინამდვილისას გაურბოდა ოცნება, ოღონდ კი იგი საფლავის კარს მიახლოებულად არ დაესახა...

მაგრამ ბუნებამ თავისი ვაიტანა დიდებული სხეული დიდებული ადამიანისა მაინც ვერ ასცდა ქამთა-ვითარების ცვეთას. ამას შეეწყო ხელი გულის სისუსტემ, რომელიც პოეტის უგრძნობიერესს გულს დიდის ხნიდგან ძალას აცლიდა და, მრავალ საზოგადო ჭირვარამის მოჭირისუფლე, იგიც დაიღალა...

ამას ყველანი ვგრძნობდით, მაგრამ მაინც არ გვემეტებოდა ესეთი ძვირფასი ადამიანი ამ ბუნებრივი კანონის მსხვერპლადაც-კი...

შესწყდა სიმი, რომლის ტკბილ ხმაზედ მრავალი ქართველი აღიზარდა, რომლის სასიამოვნო კილომ ბევრს ჩვენგანს აუხილა თვალი და რომლის გრძნეული ძალით ბევრმა ჩვენგანმა იხილა საკუთარი ქვეყნის მრავალ-ტანჯული სახე და შეიგნო მისი თანტკბილი და თანაც მწარე გამოძახილი... და ეს მძლავრი შვენება ქართული შემოქმედებისა, უებარი წინასწარმეტყველი თვისი სამშობლოს მომავალისა, იშვიათი მესაიდუმლე თავის თანამოძმის, გულის-პასუხისა, რასაკვირველია, არ გვემეტება მის ერთგულ შვილთ თუნდაც ბუნების საყოველთაო კანონის მოსახდელად...

მართალია, დაობლებულთ სანუგეშებლად გვრჩება დიდებული კაცის დიდებული ნაჭირხახულევი, ყოველივე მისი ნაანდერძევი, ყოველი მის „ჩანახმატკბილევი,“ მაგრამ მაინც ეს არა ჰყოფნის ეხლა ჩვენს სულსა და გულს, ჩვენ ვეძებთ ისევ აკაკის ცოცხალს, გვსურს კიდევ ვიხილოთ მისი ბადრი სახე, მისი ღვთიური ღიმილი და ვისმინოთ მისი საამური ხმა... ამდენი ხნის ჩვენი მამათ—მთავარი არ გვემეტება ცივ სამარისათვის და თვით ბუნებრივი გარდაცვალებისათვისაც-კი...

და ან-კი გასამტყუნარნი ვართ!.. ყოველმხრივად დაობლებულნი და ტან[illegible] ... [illegible] საერთო კერას და ვერ გაგვიმეტებია იგი ცხოვრებიდგან სიკვდილადგარდასასვლელად...

საერთო უბედურებით შეწუხებული გული, მრავალ განსაცდელთა შემყურე თვალი და ყველა ამით ტანჯული სული ქართველისა დიდხანს ვერ შეეჩვევა დიდებული აკაკის სხეულით გაუჩინარებას და ვერც მოისვენებს ასე მალე, რადგანაც ასეთი ბუმბერაზის შემდეგ-რაღაც ჰგრძნობ კაცი სიცალიერეს, ობლობას, მარტოობას და გეშინია იმ წყვდიადის, რომელიც ასეთი დიდებული სანათის ჩაქრობის შემდეგ მობიცავს ხოლმე სამშობლოს არე-მარეს, გეშინია იმ საზარელი ხმების, რომელიც ისმის გარეშემო ასეთი საამური ჩანგის ხმის ჩაწყვეტის შემდეგ, გეშინია იმ ტაძრის დანგრევისა, რომელსაც ასეთი დედა—ბოძი ეცლება, გეშინია იმ გველ-ბაყაყების, რომელნიც ხმას აიმაღლებენ ხოლმე როდესაც ასეთი ბულბულის ხმა მისწყდება, გეშინია იმ წყვდიადის, რომელიც ასეთი კოკონის ჩაქრობის შემდეგ მიდამოს მოიცავს... და ვერას ჰპოებსანუგეშოს გარეშემო, ამაოდ დასტრიალებს შენი თვალი დაობლებულ არე-მარეს და ამაოდ დაჰფარფატებს გვემული ოცნება უიმედო სევდით მოცულ სამშობლო კუთხეს. ძალაუნებურად ჰგრძნობ ობლობის სიმწვავეს და ემდური ბედს, რომ რად მოგასწრო ასეთ იშვიათი კაცის სიცოცხლეს, თუ-კი მისავე სიკვდილის მოწმედ გაგხდიდა იგი...

დიახ, მეტად მწვავეა ეს გრძნობა და მეტადრე ჩვენთვის არის ძნიმე ასეთანი, ვინც დაახლოებული ვიყავით ძვირფას აკაკისთან...

დიახ, აღსრულდა აკაკის სიტყვები: „დაადნა გული შენს სიმებს“ და „სულიც დაიცალა“-ო. ბევრი რამ გვიანდერძა, მაგრამ ესეც ვერ გვანუგეშებს—მეტადრე იმ პირებს, რომელნიც მის ახლო მეგობართა რიცხვს ვეკუთვნოდით... მართალია, ყველაფერი დაგვიტოვა, მაგრამ ეს ყველაფერიც არ გვყოფნის ცოცხალი აკაკის შარავანდედით დამტკბართ! გული მაინც ვერ ისვენებს, და ძალაუნებურად ეძებ ისევ საამო სახეს ძვირფასი ბუმბერაზისას და ვერ შერიგებიხარ ვერც ბუნების კანონს და ვერც მარადისობის აუცილებლობას...

ვახტანგ ღამბაშიძე.

აკაკი

ბავშვი ვიყავი, როდესაც ის პირველად ვიხილე. მთელმა გარეგნობამ, განსაკუთრებით კი იშვიათმა თავმა შეჰბედა ბავშის ყურადღება და შემიყვარდა მისი ღამაზი. მომხიბლავი სახე, ტანჯული სიტყვა, ტკბილი ენა, ტკბილი ხმა, ტკბილი ტაკიმ, ტკბილი ტაკიმ, ტკბილი ტაკიმ, ... [illegible] ... [illegible] ... [illegible]

დღევანდელ ნომერთან მოიკითხეთ უფასო სურათებიანი დამატება

იგი ჰქმნის თვითონ და ხალხი ითვისებს: ასეთი ხალხურობა სტიქიონურია, ღრმა, რთული; შემოქმედი ენტელეხია აქ მგოსნის ინდივიდუალ ნიჭის მხარესაა...

არავინ იფიქროს, თითქო ასეთი ხალხურობა ხალხს იყოს მოცილებული. პირიქით: იგი ცნაურებაა ხალხის პოტენციისა (შესაძლოებისა), მისი შინა-მხარისა. ხალხურობა ხშირად უბრალოებაც არ არის (ამ სიტყვის ყოველდღიური მნიშვნელობით), მაგრამ იგი ხალხურობის თვისებას არ ჰკარგავს, მაგალითად: რომელიმე ჰიერატიული (საიდუმლო, მხოლოდ შეწირულთათვის გასაგები) ხაზმოსმა ენის სტიქიონისა უფრო გულისხმიერია და მაშასადამე უფრო ხალხური, ვიდრე ყოველდღიური სიტყვა იმავ ხალხისა..

აკაკის ფენომენი (მოვლენა) სწორედ აქ ცხადდება. მისი სამხატვრო სატრფო თამარ მეფეა. კულტი მარადის ქალობისა და მარადის ქალწულობისა, რომელიც ასე ატყვევებს ყოველს მსოფლიო ხელოვანს, აკაკის მგოსნურ შეცნობაში, როგორც სჩანს, ღვთაებული დედოფალის კულტად ქცეულა. და ამასთანავე: ნამდვილი თამარი აკაკის პოეზიაში თითქმის მისტიურ სხეულს ისხამს. ესეც მეტად დამახასიათებელია...

პოეზიის პირველი საფეხური ალეგორია და მეტაფორაა; მეორე—სიმბოლო, საცა ალეგორია და მეტაფორა გადადიან; მესამე (უმაღლესი)—მითი, რომელშიაც სიმბოლო გაიხსნების დინამიურად. აკაკი, ცხადია, მითის-მქნელი მგოსანი არ არის, მაგრამ ეს კი ეკვს გარეშეა, რომ მრავალს მის ნაქნარს თამარი დაჰქრავს მითის სახით. აქ თამარი აღარ არის რეალი პიროვნება, იგი უფრო მითია, ტკბილი ლეგენდა. ნამდვილი მგოსნობაც სწორედ ეს არის—წარმოშვა „მითიური“ (ანუ „მუსიკალური“ ფართოდ) განცდა. და ყოველი ნამდვილი ხელოვნება აქეთ ისწრაფის.

მუსიკალურს განცდას ლექსის მუსიკალობა აცხოველებს (ეს არის ტეხნიური მხარე ხელოვნების ამ სიტყვის ფართო აზრით). აკაკის ლექსის მუსიკალობა ყველამ იცის. მე თვითონ [illegible] შემოხვევა გულისხმად-მეღო[illegible]ის შთაგონების წამი. სასტუმროში [illegible] გვერდით მომესმა ერთხელ აკაკის [illegible]ერის მზგავსი მეტყველება, რო[illegible]აც სიტყვას ვერ განაწევრებდით. [illegible]ომ შევიტყე, რომ ეს ჩვეული [illegible] აკაკის შთაგონებისა: ჯერ მუ[illegible]ერი გულ-ნება, როგორც ამ[illegible] შილლერი, და შემდგომ—[illegible]ეტური იდეა“. აკაკი სავსე იყო [illegible]ონების ალ-ნაკადულით, — და, [illegible]რც გადმოგვცემენ, ხშირად უნ[illegible]დგარიყო ღამით მთვარეულ[illegible] და შემოქმედებაში „დაეცალა“ [illegible]ნაკადული.

გრ. რობაქიძე.

მკითხველს...

[illegible]კითხველო, თუ ოდესმე განგიც[illegible] მახლობლის დაკარგვა, ძალიან [illegible]რგად მიხვდები, რა მდგომარეობაში [illegible]და იყვენ ისინი, ვისაც ბედმა არ[illegible]ნა მუდამ აკაკის გვერდით ყოფნა [illegible] მასთან ხლება.

პირადი მწუხარება ბევრჯერ განიცდია. სურვილი მქონია მარტო [illegible]ავრჩენილიყავ ჩემს ნაღვლთან ერ[illegible]ად; გამეტარებია ეს წამები დუმილ[illegible]ი, მდუმარეობაში... და ასე მომეო[illegible]ბია ჩემი წუხილი. ამ ნაირად რამ[illegible]ენადმე შემიმსუბუქებია გულისტკი[illegible]ლი.

[illegible] ახლა კი... განა, შესაძლებელია, [illegible]ჩუმება, როდესაც მთელი ქვეყანა [illegible]სტირის თავის სწორ-უპოვარ მოა[illegible]ვეს—გენიოსს? მწერლის ვალი მიბრ[illegible]ნებს მივივიწყო პირადი მწუხარება [illegible] საჯაროდ ყველას წინ გამოვიტა[illegible] ჩემი ნაგრძნობი ამ საშინელ წამს [illegible]თო გლოვისას. დიაღ! გარემოება [illegible]ს არ მაძლევს ეს მწარე ამბავი [illegible]ს პირად ნაღვლად გავიხადო და [illegible]ვლოვო აკაკი როგორც მამა, მე[illegible]გობარი, მოძღვარი, მახწავლებელი, ერთი სიტყვით როგორც ჩემი მახლობელი ადამიანი.

ქვეყანა მართმევს ამ უფლებას...

განა ამაზე მეტი სიმწარე შეიძლება?!

ქვეყნის წინაშე მეც უნდა ვსთქვა სიტყვა, თუ რა მაგრძნობინა მისმა მოულოდნელმა, სიკვდილმა. დიაღ! მოულოდნელმა, რადგანაც, თუმცა მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ ისე ოხუნჯობდა, სულიერად ისე მაგრად იყო, რომ ვერ იმეტებდი და გეგონა დღეს თუ ხვალ ფეხზე უნდა წამომდგარიყო.

რას იტყოდა აკაკი, რომ წაეკითხა ეს ჩემი სტრიქონები?

განა მომიწონებდა? განა უყვარდა მას იდუმალ პირად გრძნობათა გამოხვაშიადება?

განა მოსწონდა მას საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები წამსა სიხარულისასა, ან გლოვისასა?

მაგრამ სცდებოდა დიდი მგოსანი!..

მას მეტად მოკრძალებით ეჭირა თავი.

ის არ ეკუთვნოდა თავის თავს, არამედ ქვეყანას, ერს... და აბა, მაშ როგორ შეხედავდენ როგორც უბრალო მიწიერს?!.

ის სიმბოლო იყო განახლებულ საქართველოსი!..

და როდესაც დიადი სიმბოლო დასავლეთისაკენ გადიხარა, განა შეეძლო ქვეყანას ეს მოვლენა არ შეენიშნა და თავის მხრით არა ეთქვა-რა?

მაშინ ხომ ეს ქვეყანა თვალ-ხილულიც არ იქნებოდა?

და აი საქართველოც—და განა მარტო საქართველო?—ყველანი ავლა-პარაკდით თვისაანნი, თუ უცხონი, მ[illegible]ხლობელნი, თუ შორეულნი...

აკაკის ბევრჯერ უწინასწარმეტყველნია, მრავალჯერ წინასწარ უგრძვნია, თავის თავის შესახებ კი ახლა დიდი უცდომა მოუვიდა. მოიტევოს ჩემმა [illegible]ძღვარმა, მაგრამ ეს ნამდვილი [illegible]ვია!

არა, მკითხველო? გაიხსენე მისი მოთხრობა „სიკვდილი“!..

განა ახლა, შენ თვითონ არ ჰხედავ, თუ რა სასწაული მოხდა?

განა გამორჩა ვინმე, რომელსაც ცხარე გულწრფელი ცრემლი არ დაეღვაროს ამ დღეებში?

გუშინდელი მოქიშპენი, მოპირდაპირენი შეერთდენ და ერთნაირად ჰგლოვობენ!

საქართველოს ეროვნულ გლოვას გამოეხმაურენ რუსები, სომხები, უკრაინელები, ოსები, ლეკები, განსაკუთრებით კი მაჰმადიანები...

ყველანი ერთხმად გავიძახით: აკაკი არ მომკვდარა, მხოლოდ **მირულია ნეტარსაო.**

ეს ისეთი სურათია, რომლის გამოხატვას სჭირდება სწორედ ერეკლე-მეორეს გლოვისლექსის უცნობ შემქმნელის ნიჭი.

ჩვენ, მგოსანს აკი ამიტომაც სწამდა ხალხური ზეპირ-სიტყვაობა, მისთვის სიცოცხლეშივე ზრუნავდა და სიკვდილის წამსაც გაიხსენა. მთელი თავის ნაშრომი ამ საქმეს შესწირა და სხვებსაც უბრძანა, თუ ჩემი პატივისცემა გსურთ, ამ საქმეს მოუარეთ, თანხა შესწირეთო.

მართალი იყო გული მგოსნისა! ის ჰგრძნობდა, რომ საქართველოს ბედნიერება, სიდიადე თვით ხალხის გულში ჰმარხია!..

ეს იყო „უკვდავების წყარო“ მიხთვის და აკი კიდეც დაეწაფა...

და მერე რა? განა ხალხის გულმა, ხალხის გენიოსობამ უმტყუნა?

შეთვისებულს უკვდავება მიანიჭა!..

ხშირად ხალხის ნამდვილ ლექსს აკაკის აწერდენ და აკაკისას ხალხს...

აი უტყუარი სიდიადე! ერისა და შვილის ნამდვილი შესისხლხორცება!..

და ახლა, წარმოიდგინეთ, ასეთ კეთილ ადამიანს, მამულის, ხალხის ასეთ უზომო მოყვარულს, თვით ხალხი როგორ უნდა მოჰქცეოდა?

აკი ამიტომაც არაფერი დაიშურარა მისთვის, კერპად გაიხადა და გაალმერთა...

მუდამ მშვენიერმა, მან სიკვდილის ჟამსაც არ უღალატა თავის თავს: ლამაზად მოკვდა!

მე რომ მქანდაკებელი—შემომქმედი ვყოფილიყავ შევქმნიდი შარავანდედით მოსილ **გულს** და გამოვსახავდი მასში უკვდავ აკაკის...

გრიგოლ დიასამიძე

აკაკი წერეთლის მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში

მ ო გ ო ნ ე ბ ა

ახლა ყველასათვის ცხადია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს განსვენებულ აკაკი წერეთლის პოეზიას ქართულ მწერლობაში. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენმა დიდებულმა პოეტმა გაჰკაფა ახალი გზა სამშობლო ლიტერატურაში. ის იყო ქართველი პუშკინი, დაუახლოვა მწერლობა ხალხს და ხალხი მწერლობას.

ის საკვირველი ცოცხალი ენა, ის მოსწრებული სიტყვა, რომელიც შემოიტანა პოეტმა ქართულ პოეზიაში, უკვდავათ ხდის პოეტის ღვაწლს. ამ უკანასკნელ ოც წელს ეს ყველასათვის ცხადი იყო, მაგრამ ადრე, სანამ ამ ჭეშმარიტებას შეითვისებდნენ ჩვენში, განსვენებულ პოეტს სულ სხვა თვალით უცქერდნენ კრიტიკა და საზოგადოება, და პოეტმა ბევრი ტანჯვა გამოიარა.

აკაკი გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე მესამოცე წლებში წარსულ საუკუნისა. იმ დროს სალიტერატურო ფორმას რუსეთში არაფერ მნიშვნელობას არ აძლევდნენ, პუშკინს და ლერმონტოვს დასცინოდნენ. ახალგაზდობას სწამდა მხოლოდ ბუნების მეცნიერებით სარგებლობა. დიდად პატივსა სცემდა კრიტიკას და პუბლიცისტიკას, მაგრამ წმინდა ხელოვნებას და პოეზიას ზურგს უქცევდა. ასეთივე მიმართულება მეფობდა ჩვენშიაც. „საქართველოს მოამბეში“, სადაც ქართველმა განათლებულმა ახალგაზდობამ მოიყარა თავი, აკაკი წეროთელს არ ვხედავთ. მხოლოდ კოტა გეიან კირ. ლორთქიფანიძის კრებულ „ჩონგურში“ შევხვდებით ორიოდ ლექსს აკაკისას, გ. წერეთლის და ნ. ნიკოლაძის „კრებულშიც“ პირველად დააფასა ის და იქ შეგვხვდება აკ. წერეთლის ლექსები, მაგრამ ძლიერ იშვიათად. კრიტიკა სდუმს. იმაზე არამც თუ მთელ სტატიებს, მოკლე შენიშვნებსაც კი ვერ ვპოულობთ.

როცა დაველაპარაკებოდი ხოლმე მაშინდელ განათლებულ ახალგაზდებს აკაკის პოეზიაზე, მესმოდა მხოლოდ დაცინვა. ყველა ერთ ხმად ამბობდა: ლექსი ხელოვნურად არის დაწერილი, მაგრამ აზრი ვერაფერია შიგ. ყველა თხოულობდა, რომ პოეტს, როგორც მასწავლებელს, ან მოძღვარს, ესწავლებინა რამე მკითხველისათვის, ან ექადაგნა რამე ახალი რწმენა, თითქო ყველას დავიწყებოდა, რომ ხელოვნებას სხვა დიდი დანიშნულებაც აქვს—ხელოვნურად დახატვა სიცოცხლისა და ადამიანის გრძნობისა.

მაგრამ საზოგადოების და მწერლობის ასეთმა გულის სიცივემ არ აუცრუვა პოეტს გული მწერლობაზე. ის დაუღალავად მუშაობს. სწერს ჟურნალებისა და გაზეთებისათვის, სწერს თეატრისათვის, სწერს დიდებისა და პატარებისათვის, სწერს ლექსებს, ფელეტონებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს, პიესებს, სცენებს, ისტორიულ და ეკონომიურ სტატიებს, სწერს კრიტიკას, აგროვებს სახალხო პოეზიის ნაწარმოებს, ბეჭდავს იმათ თავის საკუთარ ჟურნალში, კითხულობს ლექციებს. ასეთი დაუღალავი და ნიჭიერი მოღვაწეობა ბოლოს და ბოლოს დააფასა საზოგადოებამ და კრიტიკამ. მაგრამ ყველაზე ადრე პოეტი დაფასა ხალხმა. ხალხში ზეპირად სწავლობენ აკაკის ლექსებს, ყველგან მღერიან მის სიმღერებს. აკაკი შეიყვარა გაზეთების უბრალო მკითხველმა, თეატრის მაყურებელმა. აკაკი შეიყვარეს ყმაწვილებმა და ბოლოს და ბოლოს აკაკის მნიშვნელობას მიხვდა კრიტიკაც, ის დაუნდობელი კრიტიკა, რომელიც დიდ ხანს უნდობლობის თვალით უყურებდა ნიჭიერ პოეტს.

მე ამით მინდა ვოქვა, რომ ნამდვილი ნიჭი ყოველთვის გაიგნებს თავის გზას და გამობრწყინდება, რაც უნდა დამალონ ის ხალხისაგან და საზოგადოებისაგან. რო დაველაპარაკებოდით ხოლმე პოეტს, გვეგონა, რომ იმისთანა მხიარული კაცი ქვეყანაზე არსად მოიპოვება, ნამდვილად კი იმის გული ჰკვნესოდა, რადგან არსად ნამდვილად დაფასებული არ იყო. საზოგადოებაში იმისი ეშინოდათ, ეშინოდათ იმის ბასრი ენისა. მწერლობაში ერთბაშად ვერ გაეგოთ იმის მიმართულება, იმის ბრძოლა თითქო ჰფარავდა იმის მაღალ იდეალებს, ღრმა სიყვარულის სამშობლოსადმი. მაგრამ მოვიდა დრო, როცა ყველასათვის ცხადი გახდა იმის ნიჭის სიძლიერე. იმას ვეღარავინ ვერ აღუდგა წინ და ორმოცდა ათი წლის იუბილე იყო სახალხო სიხარული და უსაზღვრო აღტაცება.

მოისვენე, დიდად ტანჯულო პოეტო, შენს ღვაწლს შენი მადლიერი მკითხველი არას დროს არ დაივიწყებს.

გ. თუმანიშვილი.

სერგეი მესხის მეუღლე აკაკის შესახებ.

ჩვენ მივმართეთ „დროების“ დაუვიწყარ რედაქტორ სერგეი მესხის მეუღლეს, პატივცემულ ეკატერინე მესხისას, გრიგოლ მელიქიშვილის ასულს, თხოვნით, რომ ორიოდე სტრიქონი მოეწოდებინა ჩვენთვის საყვარელ აკაკის შესახებ, რადგანაც მგოსანი მეტად დაახლოვებული პირი იყო განსვენებული მისი ბ. სერგისა. ქ ბ. ეკატერინემ შემდეგი სტრიქონები ვამოგვიგზავნა:

„არ ვიცი რომელ მოგონებიდან დავიწყო, იმდენი ამბავი მიტრიალებს თავში და თვალები ცრემლით მევსება. არ ვიცი, როგორ მოვკიდო ხელი კალამს... ვიკმარებ ამ ხანად რამდენიმე სტრიქონით.

„ყველამ კარგად იცის, რომ დიდებული ახლად განსვენებული აკაკი ძალიან შეთვისებული იყო განსვენებულ სერგეისთან. ისე დღე არ გაივლიდა, რომ აკაკი „დროების“ რედაქციაში არ შემოსულიყო, გაზეთის და ჩვენი ამბავი არ ეკითხა და თავის მშვენიერი ღიმილით და მახვილი სიტყვებით არ გაემხიარულებინა მაგიდასთან მჯდარი, შალში გამოხვეული, გაზეთისათვის დღიურ მასალის მზადებაში გართული და დაქანცული სერგეი და არ ეკითხა: კიდევ რა მასალა გაკლიაო? იმ დროს ის იღებდა ჯიბიდან მშვენიერ ლექსს ან ფელეტონს და გადასცემდა ხოლმე ჩაფიქრებულ სერგეის. ესეც, წაიკითხავდა თუ არა, უცბად გამხიარულდებოდა და ორივე ჩვეულებრივ ბაასსა და ოხუნჯობას დაიწყებდნენ ხოლმე. თანამშრომელნიც გავმხიარულდებოდით.

მოხდებოდა ზოგჯერ ისედაც, რომ აკაკი უბრალო საქმის, ან ჩვენთვის გაუგებარ მიზეზის გამო შემოგვწყრებოდა, ისე აუვლ-ჩაუვლიდა ხოლმე რედაქციას—მაშინ „დროების“ რედაქცია მოთავსებული იყო გოლოვინის პროსპექტზე მუხრან-ბატონის სახლში,—რომ არ შემოვიდოდა. სერგეი და მე ვეკითხებოდით ხოლმე ერთმანეთს: „[illegible] აკაკი [illegible] ნუ თუ გვიწყრება რაზედმეი[illegible]“. მაგრამ არ გაივლიდა ორი დღეც, რომ თავისებურად მხიარულად გამოჩნდებოდა ხოლმე რედაქციის კარებში. ჩვენც, რასაკვირველია, საყვედურით მივეგებებოდით, თუ რატომ რედაქციაში არ შემოდიოდა. ისიც ჩვეულებრივ ოხუნჯობას მოჰყვებოდა.

კვირა როცა მოახლოვებული იყო და აკაკის „ცხელ-ცხელი ამბები“ არა გვქონდა, მე მივმართავდი ძას და ვეტყოდი: „ყველა კარგი, ჩემო აკაკი, მაგრამ ამ კვირაა ლექსს ან ფელეტონს არ მოგვცემ? მკითხველები ხომ დაჩვეულნი არიან კვირაობით შენი ფელეტონის კითხვას, სწორე გითხრა, ძალიან ეწყინებათ“. სერგეის ყოველთვის ეხათრებოდა აკაკის და ამიტომ ერიდებოდა, არა სთხოვდა ნაწერს. მე კი უფრო თამამად ვეკითხებოდი. აკაკი და სერგეი რომ ლაპარაკში გაერთობოდენ, მერე სასტუმრო ოთახში გადადიოდენ საუბრის გასაგრძელებლად. პატარა ხანს უკან შევიდოდი ხოლმე და ვეუბნებოდი აკაკის: „აქ ისეთი მყუდროებაა, რომ უთუოდ უნდა რამე დაგვიწეროო—მეთქი“. აკაკი სთანხმდებოდა. მე სერგეი და გამოვდიოდით სარედაქციო ოთახში და კარებს გამოვხურავდით. პატარა ხანს გვესმოდა, რომ ის ოთახში დადიოდა და ზეპირად რაღაცას იმეორებდა. ერთი საათიც არ გაივლიდა, რომ აკაკი მშვენიერ ლექსს, ან მთელ ფელეტონს გამოგვიტანდა ხოლმე.

ბევრი საუკეთესო ლექსი და ფელეტონი აქვს დაწერილი აკაკის ამგვარად, ასე უცბად: ჩემ თვალწინ სთხზავდა.

ამ დროს მის პირისახეს სწორედ ციური გამომეტყველება ჰქონდა: თმა აებურძგნებოდა და თვალებში რაღაც არაჩვეულებრივი ბრწყინვალე სხივი გამოჭკრთოდა...“

ეკატერინე მესხისა.

სამგლოვიარო დეპეშები და ბარათები

უზომოდ შეგვაწუხა დიდებულ მგოსნის და საქართველოს სიამაყის აკაკის გარდაცვალებამ.

ჯარის-კაცები: სეერიანე იმნაძე, მაქსიმე რევია, აკაკი ჯიბლაძე, გერასიმე სანიკიძე, ილია ჯოჯუა, სიმონ ქანდარია, პავლე არჩვაძე, სარდიონ კუპრეიშვილი, მანუილ გოგნაძე, ვასო ძიძიგური, ვანო ქობალავა, ნესტორ ქარჩილავა, აკაკი ბესელია.

სოხუმი. ღრმად შეგვაწუხა ჩვენი პოეტ-მოღვაწის აკაკის მიცვალების ამბავმა. ვუერთდებით საერთო გოდებას. კაკო ჭავჭანიძე, გიორგი კაჭარავა, ტარიელ გესალია, სამსონ მარღანია, მოსიძე, ჩიტავა.

ბაქო. საქართველოს ცა დაჰბურა შავმა ღრუბელმა; ქართველი ხალხის ვარსკვლავი მოსწყდა, ძმობა-სიყვარულის მგოსანი დადუმდა, დავკარგეთ სულიერი ბელადი აკაკი. ბაქოს თვითმართველობის მოსამსახურე ქართველების ჯგუფი ღრმად სწუხს და ცრემლსა ჰღვრის ქართველ ეროვნულ სიამაყის დაკარგვის გამო. ქურიძე, ხუხუნი თურქია, კაპანაძე, ელენტი, ჯორბენაძე, ჩახუნაშვილი, რატიანი, ჩაჩავა, ხმალაძე, რამიშვილი, ბერიშვილი.

მოსკოვი. კიდევ ერთი სამარე! მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც დიდებული სამარეებია, შესაძლებელია ერის აღდგომა!.. გრიგოლ ვეშაპიძე, პეტრე ბარათაშვილი და ტიტე ტაბიძე.

ს. წესი (რაჭა). ვსტირით და ვგლოვობთ ჩვენს ღვთაება სახალხო პოეტის აკაკის აუნაზღაურებელ დაკარგვას, რასაც გულითადად ვუსამძიმრებთ ქართველ საზოგადოებას. მოგდლები ვლადიმერ ფოფხაძე და ფილიპე გოცირიძე; ივანე ჭიჭინაძე, მიხ. ვაშაკიძე, ხარიტონ საგანელიძე, ილარ. ხმალაძე, გრ. მაკაცარია, ამირან ლომთაძე, მიხ. ბაქრაძე, მინა ჯაფარიძე, ვარდენ ჯაფარიძე, სტეფ. ბიჭაშვილი.

ბავშვის გლოვა.

ბიძია რედაქტორო.

როცა აკაკი ავად გახდა, მე სულ ვლოცულობდი, რომ მორჩენილიყო, და კარგად მენახა. ეხლა, გავიგე, [illegible] აკაკი [illegible] [illegible] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოსავლეთის სიტყვიერების მუსიკალურ სილამაზეთა სწორ-უპოვარ მკრებავს თავის მშრომელი ერის გულის სიღრმიდან. **დეკანი მარრი.**

პეტროგრადი. თანამემამულეებთან ერთად ვსტირი განსვენებულ პოეტში გამოსახულ კავკასიის კულტურულ ძალის დაკარგვას. ნაღვლიანად განვიცდი სიყმაწვილის შორეულ შთაბეჭდილებას, ჩემში პირველად გამოწვეულს მისი პოეზიის მომხიბლველ ჰანგებისაგან, რომელთაც უჩინრად ჩამინერგეს ღრმა სიყვარული ქართული ენის იდუმალობისადმი. **აკადემიკოსი მარრი.**

პეტროგრადი. მოწიწებით მუხლს ვიდრეკ სამშობლოს დიდებასა და სიამაყის აკაკის ნეშტის წინაშე.

იაკობ მანსვეტაშვილი.

თბილისი. თბილ. სახ. სახლთან არსებული უკრაინელთა დრამატიული წრე მუხლს იდრეკს საქართველოს წინაშე და გულითად თანაგრძნობას უცხადებს როგორც განსვენებულის ოჯახობას, ისე მთელ ქართველ საზოგადოებას. იტირე მშვენიერო საქართველო, შენ დაჰკარგე საუკეთესო რაინდი, მომღერალი მგოსანი მშობელი ქვეყნისა. დაე განისვენოს ტკბილად და საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

წრის თავმჯდომარე **ს. კუკოლევსკი**

ბაქო. კავკასიელ მაჰმადიანთა პრესა თავის ღრმა მწუხარებას უცხადებს მოძმე ქართველ ერს ქართულ კეთილშობილ პოეზიის შემქნელის და ყოველად-კაცობრიულ სიყვარულის უზენაეს იდეალების მგოსნის გარდაცვალების გამო,—იმ სიყვარულის, რომელიც ერთად-ერთი საფუძველია მშვენიერ კავკასიის ხალხთა გულწრფელ და ძმურ ცხოვრებისათვის. რედაქტორები: „მაზალისა“—ვეზიროვი, „ბასირეთისა“—ყასიმოვი, „თაზა—ჰაბარისა—ჰაიდაროვი, „იყბალისა“—რასულზადე, „სადდაი-ჰაკკისა“—ვეზიროვი, „იკდამისა“—ყასიმ-ზადე, დირილიკისა“—მუზნიბი, „მეჰთებისა“ —რაშიდი, „ბუტისა“—ბაბაევ-ზადე.

ვოლკოვისკი. ვით მტრის ლახვარი ჩაგვესო გულში ჩვენი ერის სიამაყის და საქართველოს დიდებულ მგოსნის გარდაცვალების ამბავი.

ჯარისკაცები გიორგი ბებლეიშვილი და დომენტი ხაჯაპურიძე.

ოზურგეთი. ღრმა მწუხარებამ შეგვიპყრო ქართულ პოეზიის დიდებულ ეროვნულ გენიოსის აკაკის აუნაზღაურებელმა დაკარგვამ. ეუერთდებით საერთო გლოვას. 31 იანვარს გადავიხადეთ პანაშვიდი.

თავმჯდომარე აკაკის სახელობაზე დაარსებულ ოზურგეთის ბიბლიოთეკის გამგეობისა **ვლას მამალაძე.**

მწუხარებით შევჩივით ერთმანეთს, რომ გარდაგვეცვალა ჩვენი აკაკი... ჩაჰქრა პატარა საქართველოს წმინდა სანთელი! გამოაკლდა ქართველ ერს სასიქადულო მოჭირნახულე!.. ველარ მოვისმენთ ჩვენი აკაკის მომხიბლველ ჩანგის ახალ-ახალ ჟღერას. მაგრამ დარჩება განძად ჩვენში მისი ნათესი, რომელსაც არ შეუძლია არ იხაროს.

კ. ბაჭრაძე.

დანარჩენ დეპეშებს და ბარათებს შემდეგ ნომერში დავსტამბავთ.

აკაკის გარდაცვალების გარშემო.

დ. საჩხერეში საგანგებოდ წასული „სახ. ფურცლის“ რედაქციის მხრით სამს. ფრიცხალავა დეპეშით ატყობინებს ხსენებულ გაზეთს შემდეგს:

აკაკის უკანასკნელი წუთები.

„განსვენებულ აკაკის შვილმა ალექსიმ პოეტის უკანასკნელი წუთების შესახებ შემდეგი გადმოგვცა: 24 იანვარს აკაკი კარგადა ჰგრძნობდა თავსა, მადა კარგი ჰქონდა. ოხუნჯობდა. ამბობდა, მალე თბილისში წავალთო. თხოულობდა, დამაწვინეთ არა საავადმყოფოში, არამედ სასტუმროში, რომ ნაცნობებს ადვილად შეეძლოთ ნახვაო. საღამოთი, ათის ნახევარზე დაიძინა. 25 იანვარს დილით ხუთ საათზე გამაღვიძა. მთლად ოფლში იყო, კანკალებდა, იტანჯებოდა უკვე ენა ერთმეოდა. ძლივს გამაგებინა, რომ ხელფეხი დადამბლებული აქვს, დამბლა თავსაც შეეხო, ეხლა კი უსათუოდ მოვკვდებიო. სთხოვდა შვილსა, დედა ანეგეშეო. დაეწყო გულის რევა. ავადმყოფი თანდათან სუსტდებოდა. გარდაიცვალა მშვიდად, დიდებულ პოეტს უკანასკნელ წუთამდე შერჩა გონება და მეხსიერება.

აკაკის ცხედარი

მამა-პაპეულთა სახლის ერთ ოთახში, სადაც შეიძლება პირველად იხილა მზე მომავალმა მგოსანმა, ასვენია ცხედარი სამშობლოს აღდგენის ქურუმისა. ეხლა სამუდამოდ დახუჭულია მისი საამქვეყნო თვალები, მხოლოდ სახე მისი, მარადისობის შუქით გაბრწყინვებული, მოგვაგონებს პირველ ქრისტიან პატრიარქთა და მოციქულთა სახეს. თეთრი თმა და წვერ-ულვაში ვერცხლისფერ ნაფოლოსა ჰგავს. ვერცხლისმცემელნი, დაღონებულნი და პირმოღუშულნი. განუწყვეტლივ მოდიან ახალი ჭირისუფალნი წმინდა ნეშტის წინაშე მუხლის მოსადრეკად.

საჩხერეს გარეშემო სოფლების თანაგრძნობა

საჩხერესა და მის ახლო-მახლო სოფლებში გამოსვენების დღეს გადაიხდიან პანაშვიდებს და ეკლესიებში ყველგან გლოვის ზარს ჩამოჰკრავენ. ვიყავით სოფელ სავანეში, სადაც დიდებულმა მგოსანმა თავისი ბავშობა გაატარა. სავანელები განსაკუთრებული მწუხარებითა და გლოვით დასტირიან თავის აღზრდილს. გადასწყვიტეს, აღმართონ ძეგლი—სვეტი იმ ეზოში, სადაც საქართველოს დიდებული პოეტის ძიძა სცხოვრობდა.

„სახ. ფურცელს“ სწერენ საჩხერედან: „29 იანვარს სომხებმა თავიანთ ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს აკაკის სულის მოსახსენებლად. მერე წავიდნენ აკაკის სახლში, იქ დაესწრნენ ცხედართან გადახდილ პანაშვიდს. გადასწყვიტეს რომ ცალკე განცხადებით აუწყონ საზოგადოებას საქართველოს დიდებული პოეტის გარდაცვალება.

საჩხერის ებრაელებმა, რომელნიც დიდი პატივისმცემელნი იყვნენ განსვენებული აკაკის, თავიანთ თორაში ილოცეს მიცვალებულის სულისათვის. ამასთანავე გაზეთში გამოაცხადეს აკაკის გარდაცვალება და მოუწოდებენ საზოგადოებას მისი სახელის პატივსაცემად.

ჭიათურიდან ჩამოვიდნენ იქაური საზოგადოების წარმომადგენელნი, მასწავლებლები, მოწაფენი მღვდლითა და ხოროთი და განსვენებულის ცხედრის წინაშე პანაშვიდი გადაიხადეს.

30 იანვარს ნაშუადღევის პირველ საათზე ადგილობრივ საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო, მეტ წილად ბლეხობა ახლო-მახლო სოფლებიდან. პანაშვიდის შემდეგ ეკლესიის გალავანში ს. ფ—ვამ მოკლე სიტყვით მარტივად დაასურათა აკაკის პიროვნება და ბოლოს სთხოვა გლეხებს აუწყონ ყველას, რომ მომავალს ოთხშაბათს დანიშნულია ძვირფასის გვამის გასვენება ტფილისში. როცა გლეხებმა გაიგეს, რომ ცხედარს ქალაქში მიასვენებენ, ძლიერ შეწუხდნენ და ცხარე პროტესტი გამოაცხადეს: აკაკი ჩვენი მამა აღმზრდელი იყო, აქ დაიბადა და აქვე უნდა დავასაფლავოთო; მისი საფლავი ჩვენთვის მეტად საყვარელია და ნუ დაგვაობლებთო. გლეხებს განუმარტეს, რომ აკაკი მთელს საქართველოს ეკუთვნის და იქ უნდა დავკრძალოთ, სადაც ქართველი ხალხის გულია და სადაც უკეთესად შეგვიძლია პატივი ვსცეთ მის სახელს. გლეხები დაბეჯითებით და ენერგიულად იცავდნენ თავის თხოვნას; ბოლოს დაეთანხმნენ საერთო გარდაწყვეტილებას, მხოლოდ სურვილი გამოსთქვეს, რომელსაც უეჭველია ქართველი ერი დიდის ყურადღებით მოეპყრობა, რომ საჩხერეში აკაკის ეზოში დაიდგას მისი ძეგლი“.

აკაკის ნაღვლი.

ხატის წინ.

მიყვარს, როდესაც ხატის წინ
ანთია წმინდა სანთელი
და საიდუმლო პარპალით
ბნელს ჰფანტავს მისი ნათელი.

—

მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
დნება, ვით მსხვერპლი დიდი,
რომ მადლით გაასპეტაკოს
თვალ-უწდომელი წყვდიადი.

—

მივჩერებივარ ამ დიდ-ძალს
მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული;
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,
ცის სვეტად გაქვავებული.

—

რაღაც უცნაურ ერთობას,
ვხედავ სანთელს და ჩემს შუა,
ძმრიდ ბერ ნეტარ ბერ ეროვნულ
ჩემი გონება და ჭკუა.

—

სანთელი ჩემი ხორცია.
სიცოცხლე—მოკლე პატრუქი;
ნათელი—ჭკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი.

—

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე—მთელი ქვეყანა—
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე—
არ შემიძლია მეც განა?

—

კი!.. მაგრამ მნათე არსად სჩანს,
ჩემთან მომტანი ცეცხლისა!...
ის მოციქული მომავლის,
მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა.

ავადმყოფი მგოსანი.

ბედო შავბირო, უბირო,
ამრევო გზა და კვალისა!
სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა!

—

აჩრდილი და ვარ წარსულის
და ლანდი მომავალისა!
ვის მერჩვენი მე ემორეს
გადახდა სოფლის ვალისა?

—

მაგრამ სურვილმა მომხიბლა
ცრუ მოიმედე ხვალისა;
ჩამიხმატკბილა ჩანგურმა
და გული გამიხალისა:

—

ჩანგურო! ჩემო ჩანგურო!
ოცნების ზღვაში მცურავო!
შენი კრინმანჭი წკრიალი,
ხელახლად მომეწყურაო,

—

ჯორა გაქვს ია ვარდისა,
სიმი—ბულბულის ენაო;
ფრთები არწივის გასხია
შეგშვენის ალმაფრენაო:

—

მიმოფრენ, მეც თან-დაგყავარ.
წამის-წამ, კიდით-კიდესო
ველარ მერევა სიკვდილი
მე შენსა გადამკიდესო!..

—

დიდება შენსა მოვლენას,
ციურო, ტკბილო ძალაო!..
დაადნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალაო“.

„ნათელიდან“

ამაღლდით გრძნობავ, გონებავ!..
ასცილდით მზე და მთვარესა;
შეუკავშირდით ვარსკვლავებს
მოციმციმ-მოელვარესა!

შეიტყეთ საიდუმლობა
ზეციურ ტკბილი ხმებისა
და შეისწავლეთ კანონი
იმათი შეთანხმებისა!

მე მხოლოდ მაშინ გავბედავ
ხელი შევახო ჩანგურსა
და მწარე ზარი ამ ქვეყნის
შევრთო იმ ქვეყნის ზევსურსა,

რომ მეც გალობით, გედივით,
დავაგდო ქვეყნის საზღვარი,
ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში
და გავქრე, როგორც ლამპარი.

განთიადი

მთა-წმინდა ჩაფიქრებულა.
შეჰყურებს ცისკრის ვარსკლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთა-წმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,—
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა ურჩსა მტრისასა.

მთა-წმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამა დავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.

მგოსანი გრძნობა მორევით
თვალს ავლებს არე-მარესა
და გულის პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა.

„ცა-ფირუზ, ხმელთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალათ შემეყარეო!

სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,—
ია და ვარდი დამკენარი
ხელახლად გამიხარეო.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო!
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო;
და რომ მოვკვდები გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“!.

გ ე დ ი

სიკვდილის წინედ, ამბობენ,
აჭიკჭიკდება გედიო
და ტკბილ ჰანგებში იმარხვის
მისი არსების ბედიო.

უცნაურია გალობა
პირველ და უკანასკნელი!..
აქ იხატება ცის სივრცე,
აქვე ისახვის ქვესკნელი.

ორ-აზროვანი, ორ-კილო,
ერთის ხმით გამომეტყველი,
შემოქმედობის ქებაა
ცისა და ქვეყნის შემკვრელი.

საამაქვეყნო ზარია,
საიმქვეყნო ზიესური
გედო! შევნატრი შენს ჭიკჭიკს
შენგვარ სიკვდილსაც მეც ვსურ!..

ანდერძი.

ოთხი ფიცარი კუბოსთვის
უბრალო, შეუმკველადა
და ოთხი მუშაც წამღები,
რომ გამასვენონ ხელადა.

—

არც გვირგვინები, არც სიტყვა
არცა რა ცერემონია!..
არ მინდა!.. მოლას ანდაზა
მეც ბევრ ჯელ გამიგონია.

—

მინდა რომ ბაღში დამმარხონ,
სადაც არ იყოს სხვა მკვდარი!..
ზ ფხულმა მწვანით შემმოსოს
და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!..

—

მზე საფლავს სხივებს სტყორცნიდეს
დაჰქათქათებდეს ზედ მთვარე
და ვარსკვლავები ჭიკჭიკა,
მიბნედით მოსხივ-ცისკარე.

—

დილ-დილით გასაღვიძებლად
შაშვმა მისტვინოს ზეფსური,
რომ მის მაღალ-ბან სალამურს
სიკვდილმაც დაუგდოს ყური.

—

საღამოს ვარდის ჩიტუნამ
ჩასკვნით ჩამკვნესოს „ნანინა;“
იქვე მახლობლად ბუჩქებზე
მას აერჩიოს რა ბინა!..

—

და ამდენ ნატვრის გვირგვინად
ერთსაც დავსახავ სხვა რამეს:
კავშირსა სიკვდილ—სიცოცხლის,
ორივე სოფლის სიამეს:

—

ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს...
ყოველ გვარ სანახაობას,
რომ იქ უქმე დღეს ვხედავდე
მოზარდულ ქართველ თაობას,

—

იქ თამაშობდეს, ცელქობდეს!...
ეხორცებოდეს ქართველ ერს!..
და თავისუფლად დამღერდეს
ძველებურ „მრავალ—ჟამიერს“!..

აკაკის გარდაცვალების გამო

მორჩა... გათავდა. აღარ გვინათებს ქართველი მშრომელი ხალხის საუკეთესო ლამპარი... მოკვდა მშრომელთა მოსარჩლე, რომელიც თავის მომხიბლავი ტკბილი, მაგრამ, მკვეთრი სიტყვებით, ნახევარ საუკუნეზე მეტი შეუპოვრად უნათებდა მშრომელ ხალხს დაბურვილ უკუნეთ ღამეს. წაიქცა ის ვინც მთელი თავისი სიცოცხლე დაუღალაად უნათებდა თვალ-უწვდენ ტრიალ მინდორზე მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ, რომელნიც მწარე ოფლის ღვრით სანთელივით სდნებიან. ამ მინდორზე შუა გულში ამართული იყო ამაყი მთა, იმის მწვერვალზედ დანთებული იყო ცეცხლი, რომელიც თავის შუქით იმედს უნერგავდა უბედურთ, რომ მალე, სულ მალე უფრო გაჩაღდებოდა მოგუზგუზე ცეცხლი და მაშინ მთელ სამყაროს, რომელიც დღეს გულ-შემზარავ ძაძით არის შემოსილი, სანეტარო სიცოცხლე მიენიჭებოდა. აი სწორედ ასეთი ძალა ჰქონდა ჩვენს დაუვიწყარს აკაკის და მის შუქ-მფენ ლექსებს ჩვენს გარშემო ჩამოწოლილ ტყვიასავით მძიმე ბნელეთში. აკაკიმ პირველად და მძლავრად ჩამოჰკრა ჩონგურის სიმებს, რომელსაც დაამღერა, არამცთუ მარტო თავის გულში ნადები, არამედ მან გამოსთქვა ის, რაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში მაჯლაჯუნასავით აწვა სიმშილწყურვილით წელში გაწყვეტილ მშრომელ ხალხს. აკაკი ცდილობდა, რომ მისი სიტყვები მალამო ყოფილიყო ყველა გაჭირებულისა, მას უნდოდა, რომ დაცემულს და დაავადებულ ხალხს გულზედ მოჰშვებოდა მძიმე ბოლმა, რომელიც სულს უხუთავდა. აკაკი ცდილობდა, რომ იმ დროს, როდესაც მისი სიმღერით უბედური გაიღიმებდა, განცხრომაში მყოფს ეგრძნო, რომ სხვის უბედურების შემქნელს უფლება არა აქვს დიდებული ადამიანის ჰანგებით დამტკბარიყოს. ამიტომ დაჰმღერის იგი თავის ჩონგურს ასე:

„მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს.
განამტკიცოს აზრი წმინდა,
ვულს სიწმინდით ახურვებდეს.

„რომ დაჩაგრულს ამ სიმღერით,
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს“!.

დიდებულია აკაკის ლექსთა წყობა, მაგრამ, უფრო დიდებულია ჩაგრულთა მოსარჩლეობა“...

ან. ხიზ—შვილი.

აკაკი არ მომკვდარა მხოლოდ მიიძინა!..

25 იანვარს ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა დიდი მოძღვარი, ქართველი ხალხის გულის მესაიდუმლე, მისი აღმზრდელი და მასწავლებელი...

აკაკიმ სამოციან წლებიდან მოყოლებული დღემდე, თავის დიდებული ნაწარმოებით, ხალხური ენით და პოეზიით, აღზარდა ქართველი ხალხის მრავალი თაობა, მათ შორის მეც—მე უბედური ამ დღის მომსწრე.

აკაკის მშვენიერმა ნაწერებმა აღმზარდა და დამაყენა კეთილ გზაზე, ღრმად ჩამინერგა ჩემი დაჩაგრული თანამოძმისა და დამონებული სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარული.

დღეს სამოც-წელიწადს გადაცილებული ვარ, და მთლად გაჭაღარებული. მე დამრავალს ჩემს ამხანაგებს, სკოლა არ გვინახავს—სასწავლებელში არ გაგვივლია. ჩვენი სკოლა, ჩვენი უნივერსიტეტი, ჩვენი გზისა და ავ-კარგის მაჩვენებელი და ცხოვრების ლამპარი აკაკის დაუშრეტელი პოეზია იყო, მისი ბასრივით მკვეთრი კალამი და ნაწერები.

მე ვიცნობ დღეს უკვე მოხუცებაში შესულთ რამდენსამე კაცს, რომელნიც მრუდე გზას ადგნენ, მაგრამ აკაკის ღვთიურმა კალამმა და მისმა მადლიანმა ნაწერებმა ჩამოაშორა უკეთესთა გზას და დღეს ისინი ქართველი ერის თავდადებული მოყვარულნი და მოჭირისუფლენი არიან—თუმცა ზოგიერთ მათგანს სამშობლოში ცხოვრება არ შეუძლია.

დღეს ქართველმა ერმა, თავისი აღმზრდელი, განუსაზღვრელად მოყვარული და მოამაგე, მშობელი მამა დაჰკარგა—ხორციელად, მაგრამ სულიერად კი აკაკი, თავისი დიდებით დაუშრეტელი პოეზიით და ნაწერებით მუდამ ქართველი ხალხის სულსა და გულში იქნება და მუდამ წინამძღოლ და მანათობელ შუქურ ვარსკვლავად ეყოლება.

მაშ არ მომკვდარა!!. მხოლოდ მიიძინა აკაკიმ...

მაგრამ მე მაინც სული მიწუხს და გულ ალმური ასდის: რად მომასწრო ღმერთმა აკაკის თვალის დახუჭვას და მისი ცხოველ-მყოფელი ენის ვეი ჩემს თავს და ვაი ჩემს გამწარებულს სიცოცხლეს!..

სოსიკო მერკვილაძე.

აკაკის სსოვნას.

მეტად დიდი უბედურება თავს დაატყდა საქართველოს: მას აღარა ჰყავს აკაკი!...

გამოუთქმელია ეს მწუხარება ქართველი ხალხისათვის მაშინაც კი, როდესაც საქართველოს ნორჩი შვილნი სულსა ჭლევენ ბრძოლაში და ყველგან კვნესა და ტირილი გაისმის...

ყოველი წრე საზოგადოებისა, ყოველი წევრი საზოგადოებისა, ყოველი შვილი ჩვენი ქვეყნისა დიდს აღელვებას განიცდის. ამის მოწმე ვიყავით ჩვენ 27 იანვარს ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც ქართულ პრესის თაოსნობით საქართველოს ეგზარხოსმა პირველი პანაშვიდი გადაიხადა აკაკის, სადაც გამოუთქმელი წრფელი გრძნობით სავსე შეიკრიბა ქართველი საზოგადოება და სადაც სხვა ერების წარმომადგენლებიც დაესწრენ.

„როგორც ცის კიდეში მოცურავი მთვარე წყნარად გაჭქრება ხოლმე, ისე წყნარად გაჭქრა აკაკის სიცოცხლეცა“ სთქვა ეგზარხოსმა პიტირიმმა პანაშვიდის წინ. საქართველოს მგოსანი აკაკი გაჭქრა და რაღაც სიბნელემ ჩვენი გრძნობა-გონება, მაგრამ სანუგეშებლად, ეს სიბნელე დიდებულმა აზრმა, რომელი უფრო მეტად გაბრწყინდა.

ყოფილა კიდეე მოვლენა და წოდებას გარეშე, ყოფილა ნა საყოველთაო და საერთო, მოვლენა მთელი ხალხის, საყურადღებო განძი ნაციო ასეთ განძათ მოევლინა აკაკი თველოს! ქართველმა საზო გამოსახა თავისი ერთსულო ვდა, მიუხედავად მის წევრთა თულებისა და წოდებისა. არის ტი, როდესაც ნაციონალური, ტყვის საუკეთესო მნიშვნელობით რნაციონალური ხდება, ერ სიმდიდრე მთელი კაცობრი დიდრეს ემატება და მის ს შედის. ცალკე ერები თვისი რით ერთმანეთს ამდიდრებენ დ უწყობენ თავიანთ წინსვლას. ე დაგვიმტკიცა დაუვიწყარი აკაკის კარგვამ. აკაკის ხსოვნას პატივს მენ ქართველების გარდა სხვა ე მის პოეზიის სიმშვენიერეს განიც არა-ქართველნიც.

მისი გავლენით დიდ სევდასთან თად ჩვენ განვიცდით დიდ საზოგ ებრივ ხასიათის კმაყოფილებასაც.

აკაკის წყალობით ქართველები უახლოვდნენ ერთმანეთს და სხვა ბსაც.

ასეთი დიადი გრძნობის გამო შეეძლო მხოლოდ ისეთ დიდსა მაღალ პიროვნებას, როგორიც იყო.

თავის სიცოცხლეში მან უხვად გვაჯილდოვა ლამაზი პოეზიით..

ეს არ გვაკმარა!... სიკვდილ საც მან აგვამაღლა კაცობრიო უკეთესო აზრების და გრძნობების ცდით!.,

მარიამ ჩხეიძის-ქალ

ჩემს აღმზრდელ მგოსანს

ძვირფასი მგოსნის დაკარგვამ ჩემი თავი დამავიწყა... აღსრულდა!.. აღარა გვყავს ჩვენი სპეტაკი მასწავლებელი, ჩვენი ღვთაება, ჩვენი სიამაყე დაობლდა ჩვენი ერი და მასთან ჩვენი მშრომელი ხალხი, რომელნიც აღიზარდენ აკაკის კალმის გავლენით. მე ერთ უსწავლელს კაცს აკაკის ნაწერებმა ამიხილა თვალი. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, რომ აკაკის სახელი შევითვისე, შევიყვარე. დიდი ხნის სურვილის შემდეგ ბედმა მარგუნა აკაკის გაცნობა, მასთან ხლება.

აკაკის დაკარგვა ჩემთვის მეტად გულის მომკვლელია, რადგან დიდ გაჭირების დროს აკაკიმ გამომიწოდა ხელი და დამეხმარა მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მგოსანი ხელმოკლეობას განიცდიდა. იძინე ტკბილად, ჩემო საყვარელო მოძღვარო, შენი ნაშრომ-ნაღვაწი მუდამ ცოცხალი იქნება ქართველი ერის გულში.

ვას. კირვალიძე.

ჩვენს ბრწყინვალე მზეს აკაკის.

მწარედ გულ-მოკლული თვალ-ცრემლიანი კრძალვით ვიდებ კალამს, რომ გამოვსთქვა განუსაზღვრელი მწუხარება დიდებული მგოსნის აკაკის დაკარგვის გამო. შავ დღეში მყოფმა უამისოდაც გულ-დაკოდილმა საქართველომ დაჰკარგა თავისი დიდებული მამა, მოძღვარი თავისი გამამხნევებელი და მოსარჩლე საყვარელი აკაკი.

აკაკი იყო ხალხის საყვარელი მანათობელი ლამპარი. აკაკიმ შეჰქმნა თავისი საკუთარი სკოლა და ამ სკოლაში აღიზარდა მრავალი მშრომელი ხალხი. აკაკის კალამმა გაგვინათლა გონება და გამოიყვანა სახალხო მოღვაწეები როგორიც იყო საბრალო იობა ისაკაძე და სხვა მრავალი. ყველაზე მეტი საგრძნობელი და სამწუხარო ჩვენ რაჭველებისათვის არის აკაკის დაკარგვა მით უფრო, რომ აკაკი გვპირდებოდა ერთხელ კიდევ რაჭაში მოსვლას. ნათქვამი ჰქონდა, იობა ისაკაძისათვის ქვა უნდა დაედვა თავის ცნობილ ზედ-წარწერით, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარ აცალა და ჩვენც გული მოგვიკლა.

ნოე გოშაძე.

[illegible] სრულდა!..

[illegible] ბრწყინვალე ხსოვნას.

[illegible]და!..

[illegible]ამშობლო ქვეყანას კიდევ გა[illegible]ერთი უძვირფასესი და უსა[illegible]პიროვნება ხელიდან ბედითი[illegible]დილმა...

[illegible]ლა აკაკი!..

[illegible]ლო ცის ხომლს მოსწყდა კი[illegible] სწორ-უპოვარი მოკიაფე[illegible]ვი და ჩაინთქა უკვდავების

[illegible]კალა აკაკი—ეს შემოქმედების [illegible]ბომბერაზი და მოჭირნახულე[illegible]ოს საზოგადოებრივის და [illegible]რულ განახლებისა.

[illegible] სიკვდილით საქართველომ [illegible] დიდებულ ბუნების პატრო[illegible], რომლის ნიჭი გამოიხატებო[illegible]ერატურის სხვა და სხვა დარგში. [illegible] იყო პოეტი, პუბლიცისტი, [illegible]ურგი, ისტორიკოსიც კი. მან [illegible] გამდიდრა გასულ საუკუნის [illegible]ერატურა თავის უკვდავ ნაწერებით. [illegible]ალა გვყავს მრავალ-წამებული აკა[illegible]ალხის გულის და სულის მესაი[illegible]ე, ჩვენი მკურნალი, ჩვენი აღმ[illegible]ელი, სამშობლოს მოჭირისუფლე. [illegible]ი დიადი სული ხალხის გონებრივ [illegible]ოდგომის ძიებაში დალია...

[illegible]ტომ ჩვენ, ახალგაზდობა, მთელ [illegible]ელ ხალხთან ერთად მდუღარე [illegible]ის ვფრქვევთ და ვგლოვობთ [illegible]ელ აკაკის, რომლის ნაწერებით [illegible]რთი თაობა აღზრდილა და რო[illegible] თავისივე ძვირფასი სიცოცხლე [illegible]ლთაობის გათვითცნობიერებაძღებას შეალია უფრო!

გიორგი მაღრაძე.

სულს სული იცნობს...

ჩვენს ახალგაზრდა ბელეტრისტს **ჯაჯუ ჯორჯიკიას** თავის ჰაწია, მაგრამ კოხტა ნაკვთების ლამაზ თაიგულში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა ქუთაისში, ერთი მეტად სწორე დახასიათება მოიპოვება ჩვენი აკაკის სახისა. ეს აღწერა ისე მხატვრული და საგულისხმოა, რომ არ შეგვიძლია დღესვე არ მოვიყვანოთ.

აი ისიც!

„თქვენ უნდა ნახოთ აკაკი, როცა კარგ გუნებაზეა...

„ვერცლის თმით შემოსილ თავს ნელა გადახრის და სახე მისი ბრწყინვალე გამომეტყველებას მიიღებს, ვარდივით გაუხალისდება და ნელი, ციური ღიმილი იგი ტკბილი ღიმილი, რომელიც მარტო აკაკის ხაკუთრებას შეადგენს, ციურ სახეზე შეუჩერდება და იქიდან დიდხანს აღარ მიდის, ხარობს, ცელქობს, ამაყობს კიდევაც, რომ აკაკის ღიმილი ვარო და მის ზეგარდმო მადლით ცხებულ სახეს, თქვენ რომ გგონიათ, ისე ადვილად როდი მოვშორდებიო!..

„ჩაფიქრდება მგოსანი და მისი სახე ერთიანად გამოიცვლება: ორი თუ სამი ნაოჭი თეთრ შუბლს მორცხვად დაეწვება. მარჯვენა წარბი ხანდახან უნებლიედ ამოძრავებდა ხოლმე, გრძნობიერი ტუჩები ოდნავ ღელავს...

„თვალები იმ ცეცხლით აენთება, რომელიც ცხოვრების ტლანქ სინამდვილეს სწვავს, ჰდაგავს და პოეზიის მოჩუხჩუხე ნაკადულად მშვენიერებას და სიკეთეს წინ გვიშლის.

„კარგია მგოსნის სახე, როცა ტკბილად იღიმება და შეუდარებელი, როცა თვალებს ცათ ააყრობს; იმ წუთს, მგონია, მგოსანი თამარს ხედავს, იმ მთვარის სხივივით ნარნარ თამარს, რომელიც სულმნათს აგრე ამხნევებს და თვისი მამულის ბრწყინვალე მომავლის იმედს არ აკარგვიებს! მაშინ აკაკის სახე იმ ტკბილსა და მოშხიბლველ ზღაპარსა ჰგავს, რომელიც გვიტაცებს, სანეტარო ფრთებს გვასხამს და იმ ქვეყანას გადაგვაფრენს, სადაც მხოლოდ სიმშვიდე და სიყვარულია“.

ქართველი მწერლები აკაკის შესახებ.

აკაკის იუბილეს დროს 1908 წ. საიუბილეო კომიტეტმა გამოსცა პატარა მეტად ორიგინალური კრებული, სადაც მოათავსა სხვა და სხვა ავტორების ლექსები და წერილები. ამ უკანასკნელთა შორის არის რამდენიმე მეტად საგულისხმო, რომლის ახლა გახსენება უადგილო არ იქნება. **პროფ. ალ. ცაგარელმა** მოათავსა წერილი: „აკაკი, გიხაროდენ!“ აი რასა სწერს პატივცემული მწერალი: „ამ უკანასკნელ წლებში ყველა „ერთობას“ გაიძახოდა სიტყვით და საქმით კი, როგორც წინად, ეხლაც ჩვენი საზოგადოება ისევე დაქსაქსულია, დაქუცმაცებულია, დასებათ და ჯგუფებათ დაყოფილი და ერთი მეორესაგან განცალკევებული, როგორც წარსულში, და ეს იყო ყოველთვის ჩვენი ისტორიული ჭირი და ვარამი. თემათ და თემათ დაყოფილი საქართველოს ხალხი ერთმანეთს ებრძოდა. ამას ალევდა თავის ძალ-ღონეს და ამიტომ თავისთავს ჰღუპავდა, უმეტეს გარეშე მტრებისა... აკაკიმ თავის ნაწერებში „ერთობის“ იდეალი განახორციელა და სული ჩაუდგა: იმისთვის არ იყო არც იმერეთი, არც კახეთი, არც სამცხე, არც რაჭა და სხვანი,—იყო მხოლოდ **ერთი საქართველო** და მგოსანი ნახევარი საუკუნე ამას თავს ევლებოდა და დასტრიალებდა, როგორც არწივი თავის წიწილებს და თანაც მოსთქვამდა და ზედ დამღეროდა მშვენიერი ლექსით ხან „გლოვის ზარის“ კილოზე და ხან „ძლევისა გალობისა“ გალობით. „ერეკლე“ თუ „თორნიკე“ თუ „სოლომონ დიდი“, თუ „როსტომ, რაჭის ერისთავი“ და სხვანი ამერ-იმერნი ყველანი იგივე ქართლოსიანნი იყვნენ, სული ერთი ჯიერის მოდგმის და ტომის, ერთი ქართველი დედის ღვიძლი შვილნი იყვნენ იმის თვალში, სულში და გულში და სულ ერთ ქართველ ერს შეადგენდენ“.

განსვენებული **პროფ. ალ. ხახანაშვილი** თავის წერილში „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია“ აი რას ამბობდა: „აკაკის მარგალიტივით აწყობილს ქმნილებას ერთი ჰანგი უფრო გაბედულად და თითქმის განუწყვეტლივ დამღერის, უკედ ვსთქვათ დაჰკვნესს. ამ ჰანგს პესიმისტური ელფერი სდევს, იგია „მსოფლიოს გოდების“ მეთოდი, რომელიც გაისმის დასავლეთის და აღმოსავლეთის პოეტთა ნაწერებში. იმ პესიმისტთა ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნიან მეფე სოლომონ-ებრაელი, ომარ ზაიამ სპარსელი, ბაირონ ინგლისელი, ლეოპარდი იტალიელი და სხვანი, უერთდება თანამედროვე ჩვენი პოეტი. ამ დიდებულს მგოსანს, უკმაყოფილო მწერალთა მსგავსად შესისხლხორცებული აქვს ბნსაკუთრებით სალირიკო პოეზია და თვით დრამა-ეპოსში იგი უცვლელად რჩება გრძნობის მოციქულად და მქადაგებლად. თვით სალირიკო დარგშიაც მის ჩანგს აყღერებს ორგვარი სიუჟეტი: სატირა და ელეგია, ჭმუნვის და გაკილვის სიმები, ანუ, როგორც თვითონ გვამცნებს „ცრემლში ნალესი ნაღველი და ნაღვლიანი მწუხარება“. იგი ხშირად ემდურის თავის ხვედრს, უბედო თავს, მოსთქვამს მწარედ გულის მოდუნებას და ოცნების გაქარწყლებას. გაუქრება რა ნაზმანები „საამური ჩვენება“, თვალწინ გადეშლება „პირშავი“ სამშობლოს სურათი. აქ, „ამ სოფლად“ შეუწყნარებელი და შეურიგებელია: დაიარება მარტოკა ობლად, დევნილი ყველასაგან საქმით და სიტყვით“. პოეტის გულში ჩასახული „იდეალი ვერსად მოინახა“. წინაალმდეგ, მისმა „ეკლით ნაჩხვლეტმა“ არსებამ განიცადა ბევრი ტანჯვა, ვაება: მეგობარმა უღალატა, სატრფომ სხვაზე გასცვალა, ცხოვრებამ ტკბილი წყაროს მაგივრად მწარე სამალა შეასვა და ასპარეზი ია ვარდის მაგივრად ჭინჭრით მოუფინა. მოწამებრივმა სვემ პოეტი სასოწარკვეთილამდე მიიყვანა და გულამოსკვნილს ათქმევინა: წარსული აღარ მარგებს, მომავალი მენანებაო. ქვეყნიერი ამაოების შეგნებამ გაუღვიძა სიკვდილისადმი მისწრაფება: „ღმერთსა ვევედრებ, რომ მეღირსოს საფლავში დაძინება, სჯობს სულ განქრეს კაცი, რადგან მტვერია“. ამაოებათა ამოება და ყოველივე ამაო, ამბობს მეფე სოლომონი. პესიმისტი ლეოპარდი ამასვე განიმეორებს და იტყვის: მე შევნატრი მიცვალებულთ და მხოლოდ მათთან მსურს ხვედრის გაცვლაო. ამათ ბანს აძლევს ჩვენი პოეტი და დაასკვნის გამოცდილი და დაკვირვებული გონების ძალით: „სიცოცხლე არის მონება და სიკვდილი განსვენებაო“. ამგვარად, დიდებული ქართველთა მგოსანი წარმომადგენელია იმ სალიტერატურო მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „მსოფლიო გოდების პოეზია“.

იაკობ ფანცხავა ამავე კრებულში უძღვნის წერილს „აკაკი წერეთელი ზოთასა სთხოვს: მასწავლე საიდუმლო ჟღერისა, რათა მგოსანი ვიქნე ერისაო“. მართლაც, აკაკიმ ზედ-მიწევნით შეასრულა ეს წადილი: იგი მისწვდა ჟღერის საიდუმლოებას და მით შეიქმნა მგოსანი ერისა. აკაკის ლექსი ყველასათვის, ვინც უნდა იყოს იგი განათლებული, გინდ სრულიად უბთალოც —ადვილი გასაგები,იგი ყველას სულში ჩასაწვდომი და ამაძგერებელია. აკაკი დიადი და შეუდარებელი ხელოვანია ლექსთა მარგალიტის მძივებით ჩამოსხმაში. მისი ლექსი სუბუქი და ნარნარია, ადვილ-გასაგები და მკვირცხლი. ამ ხელოვნებით აკაკიმ ქართული ენა გააფაქიზა, ნარ-ნარ ჰყო სასმენად და გაამდიდრა, გაამრავალ-ფეროვანა ნამდვილ ქართულ სიტყვათა აგებულებით, მოკაზმულობით. ამ თვისებისა გამო კი ქართული ენა მისაწვდომი და გასაგები შეიქნა მთელ ხალხისათვის: ეს ენა გაეროვნდა, ე. ი. ქართველ ხალხის ყველა წრისა და მდგომარეობის კაცისათვის ადვილად გასაგები და სასიამოვნოდ სასმენი შეიქნა. ამ მხრით აკაკიმ უკვე მთელი სკოლა შეჰქმნა და სამუდამოდ განდევნა მძიმე და უშნოდ აწყობილ ლექსთა თხზვა. დღეს მგოსნობას ვეღარავინ დაიჩემებს ისე, თუ რომ მისი ლექსი გარეგანი ფორმით აკაკისებურად არ არის აწყობილი. ასე ხელოვნურად აწყობილ ლექსს აკაკიმ შინაარსი საროვნო მისცა. აკაკის ლირიკა თავიდან ბოლომდე ერთი გაუთავებელი მოთქმაა, „საერო კვნესით“ ავსილი. აკაკის ჩონგური მუდამ საერო კვნესით ჟღერს და ეს საერო კვნესა კი სრულებით ადვილად, ძალ-დაუტანებლად ვრცელდება ხალხში ამ ენის წყალობით. საერო მისწრაფებათ ჯერ გაავრცელებდა ხალხში რამდენიმე ასი პროპაგანდისტიც კი, რადგან აკაკის ჩონგურის „კრინ-მანჭი ხმატკბილის“ სმენა ხალხს განუწყვეტლივ ენატრება და ამ ენას იგი ეტანება; ამ ჩონგურის „სიმი ბულბულის ენაა“, ფრთები კი „არწივის ასხია“ და ამიტომაც დიადაც შეშვენის აღმაფრენა. ეს აღმაფრენა-კი არის დიადი „საერო კვნესა“, რომლით მგოსანი მარად გულ-მოკლულია. რაღა გასაკვირველია, რომ ამ სიმაღლემდე ასული აკაკის ჩონგური პირდაპირია და მართლის მქადაგებელი? ეს ჩონგური სიმართლით სიმთ არ აყღერებს და არც ვისმე მიეფერება, რადგან ეს ჩონგური სრულ პასუხისმგებლობას იღებს მთელი ხალხის, მთელი ერის წინაშე. ამიტომ ეს ჩონგური სრულ უშიშრობით და მიუფერებლობით აშკარად იტყვის: „აღარ ვნატრობ აღარასა, რომ სამშობლოს მტრის სისხლითა ვიღებავდე ჭაღარასაო“. ეს პირდაპირობა და მიუფერებლობა, ეს სიმართლის გულახდილად თქმა კი ხომ ყოველ დიდბუნებოვანი ადამიანისა და დიადი მგოსნის ნიშნობლივი თვისებაა. აკაკი სწორედ ასეთია!“

ჩვენი დაუვიწყარი პედაგოგი **იაკობ გოგებაშვილი**, რომელიც დიდის პატივის ცემით და სიყვარულით გამსჭვალული იყო აკაკისადმი, აი რას ამბობს თავის წერილში, რომელსაც ეწოდება „ქართულ პოეზიის იალბუზი“: „წარმოიდგინე, მკითხველო, მაღალის მთის წიაღიდან გამოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც მუსიკალური შხუილით ძირს ჩადის და აჩენს ვეებერთელა მორევს უშმინდესის წყლისას. ეს ბრძოლისებური მორევი შეუდარებელი სარკეა ბუნებისა. მასში მშვენივრად იხატება მისი ნაპირების მცენარეულობა, მასში კამკამებს ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მასვე თავისს სარკედ ხმარობენ ღრუბელნი ცისანი. ამავე დროს ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად სჩანს ყველაფერი, რომ თვითეულს კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სიწმინდეს და სიცხადეს, მოტყუებაში შეჰყევხარ: შენ ეს მორევი თხელი გგონია. მაგრამ აი ჩაუშვი შიგ ვეებერთელა ჭოლოკი და მან ძირის ნახევრამდინაც ვერ უწია. მორევი მეტად ღრმა აღმოჩნდა, სწორედ ამისთანა თვისებისაა ის პოეტური და ლიტერატურული ზღვა, რომელიც შეჰქმნა აკაკის მაღალმა ნიჭმა. ეს ზღვა თხელი გეჩვენება? რად? იმიტომ, რომ საარაკო კაშკაში გააქვს და შიგ ყველაფერს მეტად ადვილად და ცხადად ჰხედავ. ჰხედავ არა მარტო შენ, დიდი, არამედ რვა-ცხრა წლის შეგნებული ბავშვიც და ეს უფრო ატყუებს. მაგრამ აი მოიკრიბე გონება, ღრმად ჩაიკვირდი აკაკის თქმულებათა შინაარსს, შეუდარებელ ფორმას და აღტაცებაში მოგიყვანა მისმა საოცარმა კაზმულობამ, მისთა აზრთა და გრძნობათა სიღრმემ, მისმა მისწრაფებათა სიმაღლემ...

აკაკიმ შეჰქმნა თავის საოცარი გავლენით მთელი სკოლა პოეტებისა...

აკაკი განხორციელებული მამულიშვილობაა. მას საქართველო ისეთივე გაგიჟებით უყვარს როგორც ტარიელს ნესტანდარეჯანი. რასაც უნდა სწერდეს აკაკი, ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსჭვივის აპრიალებული სიყვარული სატრფო სამშობლოსი. ამ მხრივ აკაკიზე ზედ გამოჭრილია გ. ორბელიანის ლექსი: „მისი ფიქრი, მისი სიტყვა თუ არ შენდა არსად იყოს, შენთან მისი დღე ბრწყინვალე-ბდეს, უშენოდ კი დაებნელოს“. ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადებს ძლიერ სიყვარულს კაცობრიობისას. მსოფლიო ტალანტები, გენიოსები, დიდი პატრიოტები, იმავე დროს დიდი მოყვარენიც იყვენ კაცობრიობისა. ასეთია აკაკიც! ამ ფართო კაცთმოყვარეობით აიხსნება ის ფაქტი, რომ აკაკის დიდი სახელი აქვს არა მარტო ქართველებში, არამედ სხვა ხალხებშიაც...

მაღალ ნიჭიერი გვამნი ნამდვილი დემოკრატები იყვენ და არიან. როგორც მაღალი ფსიქიურის აგებულობის პატრონნი, ისინი სხვებზე მეტად ჰგრძნობდნენ იმ სოციალურ უსამართლობას და უთანასწორობას... ჰგრძნობდენ და მედგრად ჰქადაგობდენ ამ უსამართლობის მოსპობას, გათანასწორებას, ძმობას, ერთობას. ასეთივე ქადაგება ძლიერად გაისმის აკაკის ლექსებსა და პროზაში... ხალხი აკაკის გულწრფელს დემოკრატობას კარგად ჰგრძნობს და ამიტომ უფრო მხურვალედ უყვარს იგი...

აკაკის ნეშტის გადმოსვენების და დაკრძალვის წეს-რიგი.

განსვენებული პოეტის ცხედარს სახლიდან გამოასვენებენ სადგურს საჩხერეში ოთხშაბათს, 4 თებერვალს, ნაშუადღევის ორ საათზე.

სადგურ საჩხერედან მატარებელი ცხედრით გამოვა **ხუთშაბათს, ხუთ თებერვალს**, დილის 6 საათზე და მივა შორაპნის სადგურზე დილის 9 საათზე (ადგილობრივი დრო).

სადგურ შორაპნიდან მატარებელი გამოვა დილის 10 საათზე და ტფილისში ჩამოვა საღამოს 6 საათზე.

გზა და გზა სადგურებზე ცხედარს ჰხვდებიან წარმომადგენლები ადგილობრივ საზოგადოებათა.

ექვსი საათისთვის ტფილისის სადგურზე უნდა გამოცხადდეს ყველა, ვინც ცხედრის მიღებაში მონაწილეობას იღებს. ესენი, კომიტეტის განკარგულებით, ადგილს იპერენ შემდეგის წესით.

1. სამღვდელოება მათი უსამღვდელოესობის მეთაურობით.
2. არა-მართლმადიდებელთა სამღვდელოება.
3. განსვენებულის ნათესავები და ქალები.
4. წარმომადგენელნი წოდებათა, თავად-აზნაურობისა, ვაჭრებისა, მუშებისა და გლეხებისა.
5. ქალაქის თვითმართველობათა წარმომადგენლები.
6. ლიტერატურისა და პრესის წარმომადგენელნი პოეტის ვაჟა-ფშაველას მეთაურობით.
7. წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელნი.
8. ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების წარმომადგენელნი.
9. დრამატიულ და ფილარმონიულ საზოგადოებათა წარმომადგენლები.
10. სიტყვა-კაზმულ საზოგადოების წარმომადგენელნი.
11. სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენელნი.
12. ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოება და „განათლება“.
13. ქართველ ქალთა საზოგადოება.
14. წარმომადგენელნი ქუთაისისა და ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებათა.
15. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელნი.
16. წარმომადგენელნი საქველმოქმედო საზოგადოებისა,
17. წარმომადგენელნი სასწავლებლებისა.
18. წარმომადგენელნი სხვა საზოგადოებათა.
19. წარმომადგენელნი ცეხებისა.

მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ პროცესია გაემართება სადგურიდან ქვაშვეთის ეკლესიამდე შემდეგის გზით: ვოგზალის ქუჩა, ელისაბედის ქუჩა, ბაღების ქუჩა, მიხეილის პროსპექტი, კირხის ქუჩა, ვერის აღმართი, ოლღას ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ქვაშვეთის ეკლესია.

წესი პროცესიისა იქნება ასეთი:

1. დროშები, ჯვრები და ხატები.
2. კუბოს სახურავი.
3. მგალობელთა გუნდი.
4. მოსწავლენი.
5. მგალობელთა გუნდი.
6. დეპუტაციები. ზემოხსენებული წესით.
7. მგალობელთა გუნდი.
8. სამღვდელოება.
9. ბალდახინი კუბოთი, რომელსაც გვერდით მისდევენ წარმომადგენელნი მწერლობისა და პრესისა **ვაჟა-ფშაველას მეთაურობით.**
10. ბალდახინის უკან მოდიან: გარდაცვალებულის ოჯახი, ნათესავები, წერეთლები და ქალები.
11. ცეხის წარმომადგენლები.
12. განსვენებულის ყველა პატივისმცემელი.

ქვაშვეთის ეკლესიაში მისვენებისას კუბო ჩამოაქვთ და შეაქვთ ეკლესიაში მარშლებს ქალ. თვითმართველობათა წარმომადგენლებს, ლიტერატურის და პრესის წარმომადგენლებს და მგოსნის მეგობრებს.

ეკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვიდი, რის შემდეგაც კუბოსთან წესდება მორიგეობა გლეხებისა, მუშებისა და კულტურულ დაწესებულებათაგან.

პარასკევი 6 თებერვალი

პანაშვიდები და მორიგეობა კუბოსთან.

შაბათი 7 თებერვალი

პანაშვიდები და მორიგეობა კუბოსთან.

კვირა 8 თებერვალი

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, ხოლო ანდერძის აგებისა—12 საათზე.

ამ დროს ეკლესიაში მოვლენ დეპუტაციები. ანდერძის აგების შემდეგ ზემოხსენებულნი პირნი კუბოს გამოასვენებენ და დაასვენებენ სამგლოვიარო ეტლზე, რომლის შემდეგაც ზემოხსენებული წესით პროცესია გაემართება წმ.-გიორგისა, ლორის-მელიქოვისა და პუშკინის ქუჩით, ერევნის მოედნით, სასახლის ქუჩით, გოლოვინის პროსპექტით, ქავქავაძისა და გამიჯვნის ქუჩით (მეიეევია), მამადავითის ქუჩით და მამადავითის მოედნით. აქედან კუბოს ხელით წაასვენებენ მამადავითის მონასტერში, სადაც ცხედრის დაკრძალვა მოხდება.

კომიტეტის ნებართვით სიტყვებს წარმოსთქვამენ მხოლოდ ერევნის მოედანზე და მამადავითის მთის ყელთან.

შესვლა ქვაშვეთის ეკლესიასა, მის გალავანსა და აგრეედვე მამადავითის ეკლესიაში იქნება მხოლოდ საგანგებო **ბილეთებით.** ბილეთებს დაურიგებენ კომიტეტის კანცელარიაში სადეპუტატო საკრებულოში (ბელინსკის ქ., 2.)

თვითოეულ დეპუტაციაში სამ კაცზე მეტი არ უნდა იყოს. ამასთანავე მათ უნდა ჰქონდეთ საგანგებო მოწმობანი იმ საზოგადოებათა და დაწესებულებათა, რომელთაც ისინი გამოგზავნეს.

ვისაც სიტყვის წარმოთქმა სურს კომიტეტის კანცელარიაში უნდა განაცხადოს. ორატორთა ჩაწერა მხოლოდ პარასკევს, 6 თებერვალს, საღამოს დასრულდება.

გვირგვინებით კუბოს შემკობა აღკრძალულია თანახმად განსვენებულის სურვილისა. გვირგვინების ნაცვლად, თანახმად პოეტის სურვილისა, მსურველმა ფული უნდა შესწიროს ქართულ სახალხო სიტყვიერების შესაკრებად და გამოსაცემად.

ფული უნდა გაიგზავნოს კომიტეტის ხაზინადარ ექიმ ი. ს. ელიავილის სახელობაზე (ტფილ. სათავად-აზნაურო საადგილმამულო საკრებულო ბელინსკის ქუჩა, 2).

კომიტეტი მიმართავს საზოგადოებას მოწოდებით, რათა ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს კომიტეტის მიერ შემუშავებულ წესრიგის დაცვას დიდებულ პოეტის წინაშე უკანასკნელ მოვალეობის აღსრულების დროს.

აკაკის ცხედრის გადმოსვენებისა და დაკრძალვის

ბამგე კომიტეტი

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

Дозволено военной цензурой. ნებადართულია სამხედრო ცენზურის მიერ. ელექტრო-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. საკუთ. სახლი № 5